სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 **ივნისი, 2026 წ.**

ბრძანება №01-02/102

„პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით **მონიტორინგის ჯგუფის** შექმნის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის №01-02/45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2026 წ.) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 14 იანვრის №06-01/01 დადგენილების, „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 02 ივნისის №654799 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის №01-02/45 ბრძანებაში შევიდეს** ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობიდან „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული რექტორის მოადგილე მერაბ ხალვაშის ნაცვლად განისაზღვროს თამარ სირაძე და აღნიშნულის გათვალისწინებით „ა“ ქვეპუნქტი **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) **თამარ სირაძე** - ბსუ-ს რექტორის მოადგილე, მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი“.

2. მონიტორინგის ჯგუფს დაევალოს „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“ და იურიდიული ცნობარის ველში ,,რექტორის ბრძანებები“).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**